საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 38 02/09/2019

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლისათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის (1972-1977 წ. წ.) დავით V დევდარიანის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N 194 ბრძანების „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 [1] მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლას მიენიჭოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის (1972-1977 წ. წ.) დავით V დევდარიანის სახელი.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 180-ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე